პრაღის მთავარეპისკოპოსი მიქაელი: უკრაინის ხელისუფლება ქრისტეს ეკლესიის ჯვარზე გაკვრას აპირებს



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 30.03.2023. 29 მარტს ჩეხეთისა მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ პრაღის მთავარეპისკოპოსის მიქაელის მიმართვა გამოაქვეყნა, რომელმაც თავისი ეპარქიის სახელით პროტესტი გამოთქვა უკრაინის ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით. მიმართვის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია **უმე-ს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების საიტზე.**

თავის მიმართვაში მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა განაცხადა, რომ „უკრაინაში საშინელი მოვლენები ხდება, უკრაინის ხელისუფლება ქრისტეს ეკლესიის ჯვარზე გაკვრას აპირებს“.

„პრაღის მართლმადიდებელი ეპარქიის მორწმუნენი და სასულიერო პირნი ამას შეშფოთებითა და გულისტკივილით აკვირდებიან. უკრაინელი ხალხი ჩვენთვის მოძმე ხალხია. აი, რატომაც ომის დაწყებამ ჩეხეთის მიწების მართლმადიდებელი ეკლესიის თითოეული მორწმუნის სულში დიდი ტკივილი გამოიწვია და ჩვენი ეპარქია დაუყოვნებლივ ჩაერთო ლტოლვილთათვის სულიერი და მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში“, – აღნიშნა მეუფემ.

„ამდენი უბედურება დაატყდა თავს უკრაინელ ხალხს, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებისთვის ეს ცოტა აღმოჩნდა და მათ დაიწყეს ჯვაროსნული ლაშქრობა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რომლის კულმინაციაც გახდა კიევ-პეჩერის ლავრიდან ბერმონაზვნების განდევნა“, – ნათქვამია წერილში.

მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა დარწმუნებით განაცხადა, რომ „პრაღის მართლმადიდებელი ეპარქია აღავლენს ლოცვებს" და ასევე გააპროტესტა „უკრაინის ხელისუფლების მიერ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა და მორწმუნეთა უფლებების უხეში დარღვევა".

მანამდე უკრაინაში კანონიკური ეკლესიის დევნისა და კიევ-პეჩერის ლავრაში განვითარებული მოვლენების წინააღმდეგ გამოვიდნენ ანტიოქიის პატრიარქი იოანე X, სერბეთის პატრიარქი პორფირე, კანადისა და სრულიად ამერიკის მიტროპოლიტი ტიხონი, ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკი, ამერიკაში რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი, ამჟამად პენსიაზე მყოფი მიტროპოლიტი იონა (პაფჰაუზენი), იერუსალიმის, ელადის, სერბეთის და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქები.

კიევ-პეჩერის ლავრაში შექმნილი ვითარებით შეშფოთება გამოხატეს ასევე **ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ** და **ბოზეს სამრევლომ.**

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90194/